მასწავლებლის მიერ გამოყენებული სტრატეგიების როლი ემოციების გამოხატვაში (სწავლებაში) ემოციების რეგულაციის სირთულეების მქონე დაწყებითი კლასის მოსწავლესთან

ნათია სოლომონია

სამაგისტრო ნაშრომი სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია სოლომონია,

20.06. 2023“

აბსტრაქტი

საკლასო გარემოში ხშირია სიტუაცია, როდესაც მოსწავლეს სჭირდება ემოციების მისაღები ფორმით გამოხატვა და მათი რეგულირება. სხვადასხვა ნაშრომის ანალიზმა და ჩატარებულმა კვლევამ გამოკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლესთან გამოყენებული სტრატეგიებისა და სავარჯიშოების გამოყენებით მოსწავლის ემოციების რეგულაციის უნარის განვითარებაში. კერძოდ კი მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეს დაეხმაროს ემოციების რეგულირების გარკვეული უნარების განვითარებასა და მათი რეგულირების სტრატეგიების სწავლაში. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი ერთი შემთხვევის შესწავლით. კვლევაში აღწერილია საქართველოს ერთი კერძო სკოლის მოსწავლესთან ჩატარებული ინტერვენცია და მისი შედეგები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ემოცია, რეგულაცია, სტრატეგია, დაწყებითი კლასის მოსწავლე, მასწავლებელი, მოსწავლე, დისრეგულაცია, რეგულაციის სირთულეები.

Abstract

In the classroom environment, there are frequent situations when the student needs to express his/her emotions in an acceptable way and regulate them. The analysis of various papers and conducted research highlighted the role of the teacher, using the strategies and exercises used with the student, in the development of the student's ability to regulate emotions. In particular, the teacher can help the student develop certain emotion regulation skills and learn strategies to regulate them. The research uses a qualitative research method with a single case study. The study describes the intervention conducted with a student of a private school in Georgia and its results.

keywords: Emotion, regulation, strategy, elementary school student, teacher, student, dysregulation, regulation difficulties.

მადლობა

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნინო გოგიჩაძეს გაწეული შრომისა და გულისხმიერებისთვის, რომელიც ჩემდამი გამოიჩინა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში. მისი რჩევები და რეკომენდაციები მეხმარებოდა სწორი მიმართულებით მემუშავა კვლევის მიმდინარეობისას. ასევე მადლობას ვუხდი კვლევაში ჩართულ მოსწავლესა და მის მშობელს, რომელთაც დამითმეს დრო და დიდი დახმარება გამიწიეს კვლევის ჩატარების პროცესში.